





ოპტიკის შესწავლა გეოგებრას გამოყენებით

არეკლვა


ავტორი ზურა ბერია

სათაური: ოპტიკის (არეკლვა) შესწავლა გეოგებრას გამოყენებით

ავტორი/ავტორთა ჯგუფი: ზურაბ ბერია

რესურსის შექმნის მიზანი არის ხელი შევუწყოთ ფიზიკის მასწავლებლებს სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. Geogebra (გეოგებრა) არის დინამიური მათემატიკური პროგრამა, რომელიც შეიძლება იყოს საკმაოდ კარგი ინსტრუმენტი ოპტიკის შესასწავლად. ის საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ინტერაქტიული სიმულაციები, რითაც შეგვეძლება თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ გეომეტრიული ოპტიკის სხვადასხვა მოვლენა და კანონი.

რესურსი N 2 სარკე



ამ სიმულაციაში წარმოდგენილია ოპტიკური მოვლენა - არეკვლა; ნაჩვენებია სარკულ ზედაპირზე დაცემული და არეკვლილი სხივების სვლა; ამ სიმულაციაში შესაძლებელია სხვადასხვა მახასიათებლის (სარკის მდებარეობა, დაცემის კუთხე, დაცემის წერტილის მდებარეობა) ცვლა, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს თვალსაჩინოდ დაანახონ მოსწავლეებს არეკვლის მოვლენა, არეკვლის კანონის არსი სხვადასხვა შემთხვევაში. რაოდენობრივად განსაზღვრონ ან გამოითვალონ ფიზიკური სიდიდეები, ამოხსნან სხვადასხვა ამოცანები, უფრო თვალსაჩინოდ წარმოიდგინონ გეომეტრიული ოპტიკის მოვლენები. რესურსი განკუთვნილია როგორც ფიზიკის მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც.

